

ალექსი დავითიანი



ქვეანური  
ანდამბები

•:მეცნიერება:• 1973





ალექსი დავითიანი

# სვანური ანდაზები

ა. შანიძისა და მ. ქალდანის  
რედაქციით



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1973



Г1+ГФ1  
899.962.1.84 + 398 2(47.922)  
დ 152

წიგნში წარმოდგენილია 1800-ზე მეტი სვანური ან-  
დაზა ქართული თარგმანითურთ. ტექსტები ჩაწერილია  
ბალსქვემოური კილოს ლახამულურ კილოკავზე, ან-  
დაზებს მნიშვნელობა აქვს როგორც სვანური დიალექ-  
ტოლოგიისა და ლექსიკოლოგიისათვის, ისე ეთნოგრა-  
ფიისათვისაც. წიგნი დახმარებას გაუწევს როგორც  
სვანურზე მომუშავე სპეციალისტებს, ისე ეთნოგრა-  
ფებსა და ფოლკლორისტებს.

მისწავლეს ილია ბერიძე

თბილისი: ი. ი. ჯიჯიაშვილის გამომცემლობა, 1973

K 304.800  
3

7-2-2  
68-72 აღგ.



გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.




საბავშვო-სპორტული პარკი  
ეროვნული ბიბლიოთეკა





ქართული  
ენციკლოპედია






### წინასიტყვაობა

ამ წიგნში წარმოდგენილი სვანური ანდაზები მოცემულია ბალს-ქვემოური კილოს ლახამულურ კილოკავზე, რომელიც აკვნიდანვე ესმოდა ალექსი დავითიანს<sup>1</sup>, რომელსაც ეს ანდაზები (1800-ზე მეტი) წლების განმავლობაში უკრებია, შემდეგ ანბანზე გაუწყვია და ქართულად უთარგმნია. თარგმანი ჩვეულებრივ აზრობლივია, მაგალითად: ტკიცს ლალფჳრი დემეგ ესერ ხჳმთქვა — „სიმართლე არ დაიმალებაო“ (სიტყვასიტყვით: „სიმართლეს საფარველი არ სჩვევიაო“); ლგჳმაშ ეჯი ესერ ლი, ერვჳ თხუმ ჩვაფსვდე — „ძლიერი ის არის, ვინც თავს მოერევიაო“ (უფრო მიახლოებით: „ძლიერი ის არის, ვინც თავს დაეუფლებაო“); ქათალს ესერ მიჩა ლჳზჳენი გჳჩ ოხვფხირჳ — „ქათამმა თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო“ (ზედმიწევნით: „ქათამს თავისი დასაკლავი დანა გამოუჩხრეკიაო“) და მისთ., მაგრამ უფრო მიახლოებით გადმოღებასა და სწორებას მოვერიდეთ და ისე დავტოვეთ, როგორც ავტორმა წარმოადგინა. ამ სახითაც ეს ანდაზების კრებული დიდად გამოსადეგია, როგორც ხალხში შემუშავებული აზრი მის ზნე-ჩვეულებათა და მრავალფეროვანი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხების შესახებ.

პირვანდელი რედაქცია ამ კრებულისა ეკუთვნის პროფ. მაქსიმე ქალდანს, რომელიც სვანურის სპეციალისტია და დიდი ხალისით იღო თავზე ამ ნაშრომის წაკითხვა. აქა-იქ ოდნავ შეასწორა და სასტამბოდ მოამზადა. მანვე შეუდგინა საძიებელი, რომელშიც დიდძალი სალექსიკონო მასალაა ასახული. მე საჭიროდ მივიჩნიე, რომ ანბანზე გაწყობილ ანდაზებს ნომრები მისცემოდა თვითივე ასოს ფარგალში ცალცალკე, რადგანაც ეს საშუალებას იძლევა, ადვილად მოვნახოთ, როცა ვიმოწმებთ რომელსამე სიტყვას ან თვით ანდაზას ლექსიკონის შედგენისას, სხვა ერთა ანდაზების შედარებისას და სხვ... დამოწმებისას ასეთი წესი აჯობებს: ნ ა ყ უ ნ („მისაჭმელი“) — დავ. ანდ. მ—77; ლ ი-

<sup>1</sup> გარდაიცვალა 1970 წლის 24 თებერვალს.





თელ-ლიქმელ („მკა-თიბვა“); დავ. ანდ. ნ — 105; ყიმა („დახრ-  
 ჩობა“): დავ. ანდ. ხ — 150 და მისთ., სადაც „დავ. ანდ.“ ნიშნავს  
 ალექსი დავითიანის შეკრებილ ანდაზებს.

ამ გამოცემას მნიშვნელობა აქვს როგორც დიალექტოლოგიისა და  
 ლექსიკოგრაფიისათვის, ისე ეთნოგრაფიისათვის, მაგრამ მთავარი მისი  
 ღირებულება მაინც ის არის, რომ ამ წიგნით გამოვლენილია ბევრი  
 რამ ჩვენი უზომოდ ვრცელისა და დიდად მდიდარი ხალხური სიტყვი-  
 ერების ერთ უბანზე სიყვარულით შეკრებილი უძვირფასესი ნიმუშები-  
 სა სვანთა გონებრივი საგანძურიდან, რომელიც ქართული თარგმანის  
 საშუალებით ფართო წრეებისათვის ხდება ხელმისაწვდომი.

ა. შანიძე

19.II.1970.



## ალექსი დავითიანი

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ამაგდარი პედაგოგი, სვანური ენისა და სვანეთის ეთნოგრაფიის მკვლევარი ალექსი (ალი) შარდენის ძე დავითიანი საქართველოს მთის ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ალექსი დავითიანი დაიბადა 1889 წელს სოფ. ლახამულაში (ზემო სვანეთში). პირველდაწყებითი განათლება მიიღო თავის სოფელში, ახლად გახსნილ ერთკლასიან სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ადრე დაკარგა მამა და ოჯახი საკმაო ხელმოკლეობას განიცდიდა, დედის დიდი მზრუნველობის წყალობით გალის სამასწავლებლო სკოლის დამთავრება მოახერხა. როგორც კი ეს სასწავლებელი დაასრულა და წარმატებით ჩააბარა გამოცდები მასწავლებლის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, ახალგაზრდა ალექსიმ სამუშაოდ თავის მშობლიურ კუთხეს — ზემო სვანეთს მიაშურა. აქ იგი დიდხანს მუშაობდა განათლების ფრონტზე და, მიუხედავად მეფის თვითმპყრობელობის მკაცრი რეჟიმისა, თვალსაჩინო როლი შეასრულა სვანი ახალგაზრდობის პატრიოტული და რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზემო სვანეთის მაზრაში ალ. დავითიანს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე ვხვდებით: იგი იყო განათლების განყოფილების გამგე, სატყეო განყოფილების გამგე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი სვანეთის მშენებლობის ყველა დარგში.

1923 წ. სექტემბერში ლახამულას ეწვია ა. შანიძე სვანური მასალების შესაკრებად. ალ. დავითიანმა, როგორც მასპინძელმა, საჭირო დახმარება აღმოუჩინა მას სამეცნიერო მუშაობაში და ზოგი მასალა თვითონაც ჩააწერინა. ამ დროს მიღებულმა რჩევამ ალ. დავითიანს ინტერესი აღუძრა სამეცნიერო მუშაობისადმი და მან შემდეგ შეძლო ნაყოფიერად ემუშავა სვანური დიალექტური, ლექსიკური და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებაში.





1937—1957 წლებში ალ. დავითიანი მუშაობდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. მან, როგორც სვანური ენისა და სვანეთის ეთნოგრაფიის კარგმა მცოდნემ, ხანგრძლივი დროის მანძილზე შეკრიბა დიდძალი სვანური ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, დიალექტოლოგიური და ლექსიკური მასალა, რომელიც გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებითა და ჩაწერის სიზუსტით. ამ მასალის საგრძნობი ნაწილი გამოქვეყნებულია. ალ. დავითიანი თანაავტორია სვანური პროზაული ტექსტების II ტომისა. იგი ავტორია მრავალი საგაზეთო წერილისა და ნარკვევისა, რომლებშიც გაშუქებულია სვანეთის ეთნოგრაფიისა და სვანური ენის საკითხები.

ბოლო წლებში ალ. დავითიანმა სისტემაში მოიყვანა და სასტამბოდ დაამზადა წლების მანძილზე მის მიერვე შეგროვილი სვანური ანდაზები ქართული თარგმანითურთ, რომელიც წინამდებარე წიგნის სახით გამოდის. ალ. დავითიანს დარჩა ბევრი ხელნაწერი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სვანეთის ეთნოგრაფიისა და სვანური ენის შესწავლისათვის.

ალექსი დავითიანი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული ზემო სვანეთის სამაზრო საბჭოს აღმასკომის წევრად. არჩეული იყო მშრომელთა დეპუტატების საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის II მოწვევისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IV და V მოწვევის წევრობის კანდიდატად.

ალ. დავითიანი თავისი ამომრჩევლების დავალებას ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. აი ერთი მაგალითი: საბჭოთა ხელისუფლებას სვანეთი უაღრესად ჩამორჩენილ, თითქმის უუასაუკუნოებრივ კარჩაკეტილ მდგომარეობაში დახვდა. ყველაზე მეტად საქართველოს ამ მიუვალ მთიან კუთხეს მაინც უგზოობა აწუხებდა. მაშინ სვანეთის გზის გაყვანა კი საკუთარი სახსრებით არა თუ სვანეთს, საქართველოს რესპუბლიკასაც უჭირდა. ამ პირობებში ალ. დავითიანმა მაშინდელი სვანი ინტელიგენციის ერთ ნაწილთან ერთად შეკრიბა დელეგაცია მოწინავე ადამიანებისგან და მოსკოვს გაემგზავრა საჭირო სახსრების მოსაპოვებლად სვანეთის გზის მშენებლობისათვის. იმისათვის, რომ ამ დელეგაციის მისია წარმატებით დაგვირგვინებულიყო, მის ხელმძღვანელობას, და პირველ რიგში ალ. დავითიანს, დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება დასჭირდა. მათ დაამზადეს მრავალგვარი ალბომი, ახსნა-განმარტება და მოხსენებითი ბარათი, სადაც ასახული იყო სვანეთის ისტორია, ბუნებრივი რესურსები, მატერიალური კულტურის ძეგლე-



ბი და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. ეს მასალები ადასტურებდნენ, რომ სვანები ამ ქვეყანაში გუშინდელი მოსულები როდია; ისინი თვანვე აქ ბინადრობდნენ, აქ შექმნეს დიდი კულტურა, ამიტომ აყრა და სხვაგან ჩასახლება, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ შესთავაზა დელეგაციას, უარყოფილ იქნა. დელეგაციამ თავის საწადელს მიაღწია და სვანეთის გზის დაფინანსება ჩამოიტანა (1932 წ.). ამისთანა კეთილი საქმე ალექსი დავითიანს სხვაც არაერთი გაუკეთებია. ამან მოუპოვა მას თავისი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

მ. ქალდანი

20. II. 1971.



## სვანური ანდაზები<sup>1</sup>

### ზ

1. აბაიშ ჳაბ მეშგ ფურრე ლამქარდ ესერ ომსედ.  
აბაის ნიშა მეწველი ფურების მოქიშპედ დარჩენილაო.
2. ადგიაშ ლიც კადვ ესერ ათსგუა.  
ადგილობრივი წყალი მუცელს მოუხდაო (მშობლიური მხარის წყალიც უხდება კაცსაო).
3. ადგიუი მშგთან ესერ ლასგრგებ ლი.  
ადგილზე (თავის ადგილას, თავის დროზე) ყველაფერი სასარგებლოაო.
4. ადგილობუი ლისიპანწლი ლეჩემ ესერ ლი.  
ადგილზე ტრიალიც საქმეაო.
5. ადგი მარა ისგ' ესერ იმთქვე.  
ადგილი კაცს შეიჩვევსო.
6. ადგი მიჩ' ესერ მგსუიას ირდი.  
ადგილი თავის შესაფერს ზრდისო.
7. აზვაშ გიმ ფაყვანჯვიშგ ესერ ოლლაგვნელი.  
ეზოს მიწა ქუდის (დამხობის) ზომისაც შეფასებულაო.
8. აზვაშ გიმ ჳგშხემ ესერ ლაგნაი ხოჩა ლი.  
ეზოს მიწა ფეხის დასადგმელიც კარგიაო.
9. ათას ბაქს ეშვი ტკიც ესერ ახხოჩა.  
ათას ტყუილს ერთი მართალი სჯობიაო.
10. ათვი ვეფ მაზიგს ესერ ხოხალ, მგცხი — შგურ.  
ცხელი ოფლი ჳირმა იცის, ცივი — სირცხვილმაო.

<sup>1</sup> ლექსიკურად ან სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიტყვა ანდაზისა აწყობილია შავით. ასეთი სიტყვები გატანილია საძიებელში.



11. ათვი ზავ მებვილ ხოშ' ესერ ჭონა.  
ცხელ ზაფხულში ქვეწარმავალი უფრო იძვრისო.
12. ათვი ნაპუ ქათალს ლგგრა ესერ ჩუ ხაკვრუნე.  
ცხელი ლუკმა ქათამს კვერცხს აგდებინებსო.
13. ათვიარობქა მგცხიარობოვ ლახშყად.  
სიცხეების დროს სიცივეები გაიხსენეო.
14. ათვიაშ მაყალვშვ ლოლაქ თხუმ კვამს ესერ ხაშხვნი.  
სიცხის შიშით ცხვარი თავს ბუჩქში მალავსო.
15. აღაშა ზურალს ლაღედ ლათხელიდ ესერ ლოხვბურა.  
დაბნეულ ქალს დღე ძებნაში დაუღამებიაო.
16. ამახვ არი, ეჩეჩუ ესერ ლი ლესისგ.  
მტერი რომ არის, იქაა საძულველიო.
17. ამახვ ესეროვ ლი დირიშ გარ მუმკვირი.  
მტერი იყოს მარტო პურის კვერის შემყურეო.
18. ამახვ ესეროვ ლი, ლიმეჩვ-ლიღვაჟდ დემთე ჩჯდა.  
მტრისას ისეთი, ვინც სიბერე-სიყრმეში საქმეში არ ჩარეულაო.
19. ამახვ თეს ესერ ი გუ ხასისგ.  
მტერი თვალსა და გულს სძულსო.
20. ამახვ ი ძერღგვილ ჩუ ესერ ლეთშერი ლი.  
მტერი და ერთგული გასარჩევიაო.
21. ამახვს ესერ ლიმახვ ხაკუ ი მკკეთს — ლიმკეთ.  
მტერს მტრობა უნდა და მოყვარეს — მოყვრობა.
22. ამახვს ჩიჭშვ ამახვ ესერი დეშ ისრე.  
მტერს ყველაფერში მტერიც ვერ იმეტებსო.
23. ამბავ ბიქვს ესერ ესღვე.  
სიტყვა ქარს მიაქვსო.
24. ამბავ გვამი მოდ' ესერ ლი.  
სიტყვა მძიმე არ არისო.
25. ამბავ გულისგ'ოვ ესზელალნე, ნგნქა ეჩქანღვ'ოვ ანგურანე.  
სიტყვა გულში გაატარე და ენაზე შემდეგ გამოაგორეო.



26. ამბავ ი ლალთარ ამსოლდშალ ესერ იჯვნელიხ.  
სიტყვა და აზრი ადამიანივით ძველდებიანო.
27. ამბავ ლელდელ ესერ ლი.  
სიტყვა სამწყემსავიაო.
28. ამბავს ამბავ ესერ აღფარი.  
სიტყვას სიტყვა ფარავსო.
29. ამბავს ბაჟ ესერ დემეგ ხაზ.  
სიტყვას ბაჟი არ ადევსო.
30. ამბავს გაკვირ ესერ ხაკუ.  
სიტყვას დაკვირვება უნდაო.
31. ამბავს ლაჰელი დემეგ ესერ ხარ.  
სიტყვას ვერ დაეწევო (სიტყვის დაწევა არ შეიძლებაო).
32. ამბავს ლიცლავნე ესერ ამწვინე.  
სიტყვას კამათი ასწორებსო.
33. ამეჩუიშ ნაქვს ეჩეჩუ ესერ ხექმენი.  
აქ ნათქვამს იქ ემატებაო.
34. ამთე ნაჩომს ეჩთე ტეხ' ესერ ხაკუ.  
აქეთ ნათქვამს (ნაქნარს) იქით დაბრუნება უნდაო.
35. ამსოლდ აშვ დაგრას შგურშვ ესერ იკდე.  
ადამიანი ერთ სიკვდილს სირცხვილით ათავენსო.
36. ამსოლდ გიშიშ ესერ მგტ ლი.  
ადამიანი მიწის მატლიაო.
37. ამსოლდ დეცს დარ ესერ მოშ ხაბკენა.  
ადამიანი ცას არავინ შესწვდენიაო.
38. ამსოლდ დეცხენჩუ ნამშყედვ დარ ესერ ლი.  
ადამიანი ციდან ჩამოვარდნილი არავინ არისო.
39. ამსოლდ დირილდს ესერ ახყა.  
ადამიანი პურს (პურის კვერს) მოჰყავსო.
40. ამსოლდ დრევს ესერ ხორი.  
ადამიანი დროს ჰყავსო.





41. ამსოლდ, იმგვანთი, ეჩეჩიშ ფაყვოვ ესიგ.  
ადამიანმა, სადაც იბადება, იქაური ქუდი დაიხუროსო.
42. ამსოლდ ლალსგიდიშვ დემ ესერ ითირი.  
ადამიანი შეხედულებით არ გამოიცინობაო.
43. ამსოლდ ლიდგარაღლ ჩიგვაშვ ესერ იჰიესგ.  
ადამიანი სიკვდილამდე ყველაფერს მოესწრებაო.
44. ამსოლდ მავ ამსოლდ ესერ ლი.  
ადამიანი ყველა ადამიანიაო.
45. ამსოლდ მავ ესერ მედგარ ლი.  
ადამიანი ყველა მოკვდავიაო.
46. ამსოლდ მავ ვორემ კურუჩუ ესერ ლი მეზი.  
ადამიანი ყველა სამარეში (მიწაში) ჩამავალიაო.
47. ამსოლდ ნაგენვი მახად დემ ესერ ხეგნი.  
ადამიანი ხელმეორედ არ იბადებაო.
48. ამსოლდ ხამემ ტიშუალ ჟიგარ ესერ ესხრი თხუმთე.  
ადამიანი ღორის ტილსავით სულ ზევით მიცოცავსო.
49. ამსოლდაშ გვი ლეშხიჰ მიჩას გარ ესერ იჰრი.  
ადამიანის დასაწვავი გული თავისას მარტო თხოულობსო.
50. ამსოლდაშ გვი ვორგარ ესერ ოთბიზა.  
ადამიანის გული მარტო მიწას გაუძლიაო.
51. ამსოლდაშ გუ ლაჰმი დემეგ ესერ ხარ.  
ადამიანის გულს საზომი არა აქვსო (ადამიანის გული არ გაიზომებაო).
52. ამსოლდაშ მაშედ ადაიდ ესერ ამსოლდ ლი.  
ადამიანის მშველელი ისევ ადამიანიაო.
53. ამსოლდაშ მორგავდ ღერთარ ესერ დემეგ ლიხ მეტდე.  
ადამიანის შემრიგებლად ღმერთები არ მოსულანო.
54. ამსოლდაშ ნინ მგჟირ ჩიგვაშვმ' ესერ მუქვისგ ლი.  
ადამიანის სველი ენა ყველაფრის მთქმელიაო.
55. ამსოლდაშ ნენ ბაჩ ესერ ოთბიჰკვა.  
ადამიანის ენას ქვაც გაუხეთქავსო.



56. ამსოლდჷშ ტან ვერ ესერ ლი.  
ადამიანის ტანი მიწაო.
57. ამსოლდჷშ ხოლა ი ხოჩა ნგნშე ესერ ლი.  
ადამიანის ავ-კარგი ენით არისო (ენაზეა დამოკიდებულიო).
58. ამსოლდჷშ კადვ მანგ ესერ ხასკდა.  
ადამიანის მუცელში ყველაფერი ეტევაო.
59. ამსოლდჷშ კაცას ეშვი ფულ გარ ესერ ხაკუ.  
ადამიანის დაღუპვას მარტო ერთი სულის შებერვა უნდაო.
60. ამსოლდჷშ ჭირ გიმს ესერ ახზვიბ.  
ადამიანის ჭირი მიწას ამოსდისო.
61. ამსოლდს ჟოხუშდ ფხულე ხაყა — მანგ უშხვრ' ესერ უმგუმ.  
ადამიანს ხუთი თითი აქვს — ყველა უთანასწოროო.
62. ამსოლდს ლევიშხოვი ხოხალდ ი ლევშდედილი.  
ადამიანმა სააშკარაოც იცოდეს და საიდუმლოცო.
63. ამსოლდს ღერთემ დერი ლეზვებემ ქვინ ხოგ.  
ადამიანს საჭმლის სული უდგასო.
64. ამსოლდს მან ხაწვა, მანგ ესერ ნაჩომხენქა ანდრი.  
ადამიანს რაც გააჩნია, ყველაფერი შრომისგან მოდისო.
65. ამსოლდს, ვოდე ქვინ ხოგ, ეჩქად ესერ ხარ იმედ.  
ადამიანს, ვიდრე სული უდგას, მანამდე აქვს იმედო.
66. ამსოლდს ვორთე მიჩა დირილდგარ ესერ ოთხია.  
ადამიანს მიწაში მარტო თავისი პური (კვერი) წაუღიაო.
67. ამსოლდს იშგანთე ხოშ' ესერ ლანე ხარ.  
ადამიანი სხვისას უკეთესად ხედავსო.
68. ამსოლდს ლაბაჟ ქორ ესერ, ნადირს — ცხეკ.  
დასამალავად ადამიანს სახლი, ნადირს ტყე აქვსო.
69. ამსოლდს, მაზე ესერ ხულვე, ეჯზე ხოშილდ გვი ხარ.  
ადამიანს, რამდენიც აქვს, იმდენი მეტი უნდაო.
70. ამსოლდს, მათე იმთქვი, ეჯნარ გარ ესერ ხარ გვი.  
ადამიანი რასაც მიეჩვევა, გულით ის უნდაო.



71. ამსოლდს ჩიგვაში გჰჷ ესერ ხაღენა.  
ადამიანს ყველაფრის ატანა შესძლებიაო.
72. ამსოლდს ჩი ეშვი ქვინ ესერ ხოგ.  
ადამიანს ყველას ერთნაირი სული უდგასო.
73. ამსოლდს ჩი მეგვიდ გვი დემ ესერ ხაზი.  
ყველა ადამიანთან ერთნაირად ვერ გამონახავ საერთო ენასო.
74. ამსოლდს ჩი მიჩა მანკ ესერ ხამგნკა.  
ყველა ადამიანს თავისი ზნე-ხასიათი აქვსო.
75. ამსოლდს ჩხარაფათე ლატახ ესერ ხაკუ.  
ადამიანს ცხრანაირი მოსაზრება უნდა გააჩნდესო.
76. ამსოლდს ჩხეტგლდ ესერი ჩუ ხაწრე.  
ადამიანს კენჭიც მოერევაო.
77. ამსოლდ, ხოლა ვოდდე ჩუ ხეყრენი, ხოჩამ გუ ესერ დემ ხაჰვდი.  
კაცი, სანამ ცუდი არ დაემართება, კარგს არ დააკვირდებაო.
78. ამსოლდს ხოჩა ქა ხეყრენი, ეჯი დემნარ ხაბუა.  
ადამიანს, კარგი რომ დაემართება, არაფრად მიაჩნია.
79. ამტრჰკ მანცხას ესერ ხაშიდ, ქამასარ ჩუესერი ჩუადგარი.  
აპუტრაკი (ბალახია) ზომაზე ციებას შველის, ზედმეტი კლავ-  
სო.
80. ამფხვ ყიალისგა გარ ესერ იყმი.  
ბაყაყი მარტო ყელში იხრჩობაო.
81. ამფხვ კანცაღდ ლემბელოვნელი ი ფათქვდ ოლგენ.  
ბაყაყი ხარის ზომაზე იბერებოდა და გამსკდარაო.
82. ამფხვს ამფხვდ ლოხვსაყვდრა: ჯი ესერ ყჯრყნა.  
ბაყაყმა ბაყაყს უსაყვედურა: შე ყიყინაო.
83. ამხვამ დავრობეი დვრსოვ ეჯლაჲ ესაგ შდიქ.  
მტრის სიკვდილისას დვრიტას მაინც დაადგი კბილიო.
84. ანგარიშ ჩიგვაშვ ესერ ხაკუ.  
ანგარიში ყველაფერს უნდაო.
85. ანდავდ ქორლისგამ მაჩენ ესერ ხაკუ.  
მწყემსად ოჯახის უკეთესი წევრი უნდაო.



86. ანდავს ჰამაშ უუ ნემოვ ხაწრე.  
მწყემსს დილის ძილი ნუ მოერევაო.
87. ან ი კან ესერ მოდმა ხუღვე, ეჯის ბაე ესერი მოდმა ხოზ.  
ასაკი რომ არა აქვს, იმას გონებაც აკლიაო.
88. ამა ესერ დაშღვ, ამა მიჩა ნაზვ.  
აჰა დათვი და აჰა მისი კვალიო.
89. აა' ესერ ყორ ი ეაე შუკვ!  
აჰა კარი და ეგერ გზაო!
90. აარაყ მიჩა თხუმ ჯი ესერ (ჯ'ესერ) იკვშე.  
არაყი თავის თავს თვითონ ამყლავნებსო.
91. აარაყიშ ნამშღვმს გუ აარაყ ესერგდ ხოტხე.  
არყით დანათრობს გულს ისევ არაყი უბრუნებსო (რამაც გაწყინოს, მან მოგარჩინოსო).
92. აარაყიშ ხვლიპ-ხვლიპს ყიაყი კლიფ-კლიფ ესერ ხამთქვა.  
არაყის ყლაპვამ ყელიდან რწყევა იცისო (უქმად ყოფნა და ქეიფი არავის შერჩებაო).
93. აარაყიშ ხლინ ლაგვანა გარ მოდე როქვ ლი.  
არაყის ლხინი მარტო ქელეხი არააო.
94. აარაყს ბგდაშვ ესერ აკვჭურენს.  
არაყს ცეცხლის მოკიდებით სინჯავენო.
95. აარაყს მიჩა ლაგნა კეცდ ესერ ჩუ ოთლორვა.  
არაყს თავისი ჭურჭელი ქვევრიც კი შეუცდენიაო.
96. აარაყშვ მაშღმარს კოჯ ესერ ი ბოგ დემეგ ხოთრა.  
არყით მთვრალმა კლდე და ხიდი არ იცისო.
97. აპრილ ელგენ ი ვეთხმალს ესერ ლოხშდეკვანს.  
აპრილი დამდგარა და საქონელს შვებით ამოუსუნთქავსო.
98. აპრილთე ქა ლგბაჟ ვეთხმალს მოდმ' ესერ ხოჭირ.  
აპრილამდე მისულ პირუტყვს აღარაფერი უჭირსო (სული შერჩენილი აქვსო).
99. აპრილლისგაშ სგად ნავად ესერ ლი.  
აპრილის ნამატი ნანატრიაო.
100. აპრილლისგაშ ქა ლუკვარ ითქ ლუჯვარ ესერ ლი.  
აპრილში გადაგდებული მარცვალი გაიხარებსო.



101. აპრილიშ უჩხე მელს ესერ ზეთდ ხესპი.  
აპრილის წვიმა ბალახს ზეთად ერგებაო.
102. აპრილს ლაშგაშ ქვინ ესერ ოხვკანა ი ზურალს ქუფდ ში ოხფელა-  
აპრილის სუნი დადგა და ქალმა საყველე ხუფას ხელი მოჰკი-  
დაო.
103. არა-ბარ' ესერ კევრიშვ, კანწრ იმთე დე ხებდინ.  
სულ ერთია კევრისათვის, ხარები საითაც გასწევენო.
104. არშლურს არშვილს დარ ესერ ხაკედ.  
უნიფხოს ნიფხავს ვერავინ გახდისო.
105. აქანიშ ლიკედ ლემგუმ ესერ ლი.  
მისალმება (სალმის მიცემა) თანაბარიაო.
106. აქანილა აქანისოვ ანჭინდ.  
სალამზე სალამს მოელოდეო.
107. აღბაშ ტაბაგსი ჟარ ესერ ხაყა.  
აღების სუფრაც მოსაბეზრებელიაო.
108. ალვრურ ჩაჟ ი თხუმენაბჟი მერდე ზურალ ეშვი ესერ ლიხ.  
ულაგამო ცხენი და თავნება ქალი ერთიაო.
109. აშგარ ლეთრა მეზრიშ კეც ესერი დეშ ესგეჟა.  
ყოველთვის არაყის სმას მეზირის ქვევრმაც ვერ გაუძლოო.
110. აშგარ ლიკბაღ ბეფშიშ ესერ მუცუდან ლი.  
ყოველთვის მოფერება ბავშვს აფუჭებსო.
111. აშგარ ლუხვიე ღერმეთი დეშ ესერ ლი.  
ყოველთვის მიხვედრილი ღმერთიც არ არისო.
112. აშგარ ყორარ მგკარ მეხვტა ესერ ხარ.  
კარები ყოველთვის ღია ამოგდებულს აქვსო.
113. აშვ გარ ბაჯგს ნაშხატვ დემ ესერ ხეშხტი.  
მარტო ერთ სარზე ღობე არ მოეწვნებაო.
114. აშედ ესერ დეშ ოლსკიდხ ი ნანკდ დეშ ოლმარგხ.  
ერთად ვერ დაეტივნენ და ცალკე ვერ გამოდგნენო.
115. აშვ გეზლაშ მუფსვდი დის, დეც ესერ ე ლამერი, გეზლაშ მავინ  
ხაბლენა:  
ერთი შვილის პატრონ დედას, ცა რომ მოიღრუბლოს, შვილის  
საზიანო ჰგონიაო.



116. აშვ დაგრას მპგოვ ანჰინდ.  
ერთ სიკვდილს ყველა მოელოდესო.
117. აშვ დაგრაგნქა მპგთან მგლი ესერ ხოჩა.  
ერთი სიკვდილის გარდა ყველაფერი მოთავებული სჯობიაო.
118. აშვემ გაჰს მერმ' ესერ ი ჩ'ოვ აგაჰ.  
ერთი რასაც აიტანს, მეორემაც აიტანოსო.
119. აშვემ ლაგვნიაშ მერმა ლალრალაშდ ესერ ხაბჰენა.  
ერთის სატირალი მეორეს სამღერალი ეგონაო.
120. აშვემ ლაკაცარ, მერმემ ესერ ლაკაჩარ.  
ერთის დასაქცევი, მეორის ამშენებელიო.
121. აშვემ ლეყრინ მერმემ ესერ გულლაჰიდარ.  
ერთზე მომხდარი მეორის მისახვედრიო.
122. აშვემ მუფსვდი ყორ-ლაჯვრას ესერ ხანცვლალა.  
ერთის პატრონი კარ-ფანჯრის შემყურეაო.
123. აშვემ ნამამ მერმა დემ ესერ ხაშიდ.  
ერთის ნაჰამი მეორეს არ რგებსო.
124. აშვემ ქუნემ ლაცვრა ბიღვს ესერ ქ'ათჩიგდა.  
ერთის სარჩო ნაგავს გაჰყოლიაო.
125. აშვემ ხოლა ნაჩომს ლუჯვიჰ ქორ კაცას ესერ ოხვეგენა.  
ერთის ცუდმა საქციელმა ქონებით სავსე ოჯახი დაქცევის პირას მიიყვანაო.
126. აშვ ესერ შუკვს ხოლაი ესხრი ი ხოჩაი.  
ერთ გზაზე ცუდიც დადის და კარგიცო.
127. აშვ ესერ წვარგარ ხამ ფიშირ ხამარ ესე ოთვიშა.  
ერთ ტალახიან ღორს ბევრი ღორი გაუსვრიაო.
128. აშვ ზავაშ ჰალაგდ ნაშხატვ ესერ იმარგ.  
ერთი წლის ღობედ წნელიც ვარგაო.
129. აშვთე გარ დარ ესერ ისციჰვ.  
საციჰველს მარტო ერთ მხარეს არავინ მოითხოვსო.
130. აშვთეშ სარგებს მერმათეი სარგებ ესერ ხაკუ.  
ერთი მხრით სარგებლობას მეორე მხრითაც სარგებელი უნდაო.




- 131. აშეთე ჰოდს მერმახენ ესერი ტახ ხაკუ.  
ერთისაგან მიცემას მეორისაგან დაბრუნება უნდაო.
- 132. აშვი ი ძარვ ლადელ დ'ესერ ლგზგე ძარ ლი ი დე — მეხვტე.  
ერთ-ორ დღეს არც დასახლებულა ვინმე, არც ამოვარდნი-  
ლაო.
- 133. აშვი ი ძარვ ლადელ დეტთე კიბ დას ესერ ხოგა.  
ერთსა და ორ დღეს ცამდე კიბე ვერავის მიუდგამსო (ერთ-  
ბაშად არავინ აშენებულაო).
- 134. აშვი კაჭდაშ ნეყირუი მეგემ დემ ესერ იქჩი.  
ნაჯახის ერთი დაკვრით ხე არ მოიჭრებაო.
- 135. აშვი ლადელ ციცვიშ ესერ წემაშვი ჩუომგეჭ.  
ერთი დღე კატის ჭაპანსაც გაუძლიაო.
- 136. აშვი ლადლიშ სგებნავ ნაჯანვ აშვი ნაგზოშვი სგებინჩუ ესერ ითი.  
ერთი დღით ადრე მოხსნული ერთი კვირით ადრე მოიმკებაო.
- 137. აშვი ლადლიშ ნაკლინვ კიბდენს ესერ ლახქემა.  
ერთი დღის დანაზოგი კიდობანს შემატებიაო.
- 138. აშვი ლეთ კვამ ნენზჩუქ' ესერი ჟი იფიშვიდი.  
ერთი ღამის გათევა სოჭის ქვეშაც შეიძლებაო.
- 139. აშვი ლაშვიმინას ლიც ესერი იშვიმინე.  
ერთ დასვენებას წყალიც ისვენებსო.
- 140. აშვი ლეთუნღვე მუშგვრი მუშგვრი დემეგ ესერ ლი.  
ერთი ღამის შემდეგ სტუმარი სტუმარი არ არისო.
- 141. აშვი ლეთ ხანსარუი ესერი ლალეთი ლი.  
ერთი ღამე მყინვარზეც გაითენებაო.
- 142. აშვი ლეთიშ ქადა კიბდენს ხოჩ' ესერ ხარ.  
ერთი ღამის დაზოგვა კიდობანს მიეშველებაო.
- 143. აშვი ლეთიშ ხოშა ხოშილ ესერ ლი.  
ერთი ღამით უფროსი უფრო დიდიაო.
- 144. აშვი ლგქდობს მარა დერმეთ ესერი ხასარინე.  
ერთ შეცდომას კაცს ღმერთიც აპატიებსო.
- 145. აშვი რაკილდს ლიც ლაზს ესერ იშვიმინე.  
ერთ წამს წყალი სვლაში ისვენებსო.

15304.800

2. ალექსი დავითიანი







- 146. აშვ მარა ნაკითხვაროშ ქორ ესერ ისგლადელქა ათშიხენა.  
ერთ კაცს ზედმეტი სიფრთხილით სახლი შუადღეზე დას-  
წვიაო.
- 147. აშვ ნეზვიშ თელ ჩხარა ზურალს ესერ ოთგთალახ.  
ერთი ნეზვის ჭკუა ცხრა ქალს გაუნაწილებიაო.
- 148. აშვ რიგჟი თხერ' ესერი დემ ხეჰანი.  
ერთ რიგზე მგელსაც არ გაეწბილებაო.
- 149. აშვ ფოყთე გარ კავ ესერ დემ იკლავი.  
მარტო ერთი მხრით კალო არ გაილეწებაო.
- 150. აშვ ქა ლგზარა ლახა მერმე ხეჰმენი, მეზგ' ესერ ეჯნოშვ იცხემ.  
ერთ დაზოგილს მეორეც თუ ემატება, მოსახლე იმით მატუ-  
ლობსო.
- 151. აშვ ჭიშხმეკვშა ტიშს ჩხარა ესერ ლაყვრა ოთზელალა.  
ერთ ფეხმოტეხილ ტილს ცხრა ლოგინი დაუვლიაო.
- 152. აშვ ხაშონა ესერ, მერმა ხაჰვრენა.  
ერთს ემეტებოდა, მეორეს ეცოტავებოდაო.
- 153. აშვ ხოლამ სოფელ ჰინგრიას ესერ ოხვგენა.  
ერთ ავ კაცს სოფელი აუფორიაქებიაო.
- 154. აშვ ხოჩამ ყაბარდიდ ესერ ჭვინ ლოხვცვირა.  
ერთ კარგ კაცს ყაბარდოსათვის შეურჩენია სულიო.
- 155. აშვხანს ლიჰგარ ბეფშს ხოჩ' ესერ ხარ.  
ერთხანს ფეხშიშველა სიარული ბავშვს რგებსო.
- 156. აშვხენ ჟარჩიას მერმახენიში ჟარი' ესერ ხოხალ.  
ერთი მხრით უარმა მეორე მხრითაც უარი იცისო.
- 157. აშვხენჩუ გარ წელ დემ ესერ ილავი.  
მარტო ერთი მხრით სახედარი არ დაიტვირთებაო.
- 158. აშირ მკარქა ეშვი მკჰმარი ესერ ხასრე.  
ას მშოვნელს ერთი მხარჯველი სჯობნისო.
- 159. აშირს ქოვ ლახჰედვი ი მიჩა ქოვ ჩემინ.  
ასს ჰკითხე და შენი ჰქენო.
- 160. აშ ნაჰოდს წგნავ დემ ესერ ხეჰვი.  
მოცემულს წუნი არ ეთქმისო.



161. აშუნღვე ბერუარ ესერი კეჩნის.  
ერთი ხნის შემდეგ რკინაც იცვითებაო.
162. აშუნღვე ბიზს კად ესერი იკვშე.  
ერთი ხნის შემდეგ „კმარას“ მუცელიც დაიძახებსო.
163. აშუნღვე მურყვამ ესერი ყ'ახსგენა.  
ერთი ხნის შემდეგ კოშკიც წაქცეულაო.
164. აშხალთე მეჩღე მეგემ ნაკლათხის ესერ ხოკვდე.  
შტოებად გასული ხე სიმაღლეში კლებულობსო (ზრდას).
165. ახთხელივოვ ი ახხელი ესერ.  
ეძიე და იპოვნო.
166. აჯონს ესერ მაჯონ დემეგ ახშდება.  
მსგავსს მსგავსი არ გამოლევიაო.

## ღ

1. ბაბაშ გვი ნიბაშინს ესერ ესსედა.  
პაპის გული შვილიშვილს გაჰყოლიაო.
2. ბაუ დ'ესერ ტანშვ ლი, დე — თხუმემ ნანგროშე.  
ჰკუა (გონიერება) არც ტანით განისაზღვრება, არც — თავის  
სიდიდითო.
3. ბაუ დეშომ' ესერ ოღგთალელი.  
ჰკუა არასოდეს არ განაწილებულაო.
4. ბაუურ თვალ დემიშქ ესერ ლი.  
უჰკუოდ სილამაზე არაფრის მაქნისიაო.
5. ბარბელ, ლგც იმხენ ლოხფიშვდე, ლექერს ეჯთ' ესერ ასპუნე.  
ბორბალი, წყალს საიდანაც მიუშვებ, დოლაბს იქით აბრუნებ-  
სო.
6. ბარ მანკვი ესერ ირქვალ ი ლახვ მანკვი იშყვეურალ.  
ბარი პირველად იცვამს და მთა პირველად იხდისო.
7. ბაქ ლადი-ბაზიშვ გარ ესერ ლი.  
ტყუილი დროებითი არისო.
8. ბაქ ლამუნდს ესერ შდიხე.  
ტყუილი ნდობას კარგავსო.



9. ბაქ ლუქვ ბაქდ ესერ ლი მეთვფე.  
ტყუილი თქმული ტყუილად დაკარგულიაო.
10. ბაქ დეფ ესერ ლი.  
ტყუილი (სათქმელად) იაფიაო.
11. ბაქარა ბაქდ ესერ ომთეფლი.  
მატყუარა ტყუილად დაკარგულიაო.
12. ბაქარა ბაქიშ ესერ ტაბლაშ ლი.  
ბაქია ტყუილის ტაბლააო.
13. ბაქიშ მუქვისგს ტკიცს ესერი დარ ხეჯრავ.  
მატყუარას (ტყუილის მთქმელს) მართალსაც არავინ უჯერებსო.
14. ბაქიშ მგცხრიდ ტკიც ლეშდ ესერ ახჭიმ.  
ტყუილს გამოხარკვევად მართალი უკან მოსდევსო.
15. ბაქლისგაშ ნაბან გეზლაშ გეზალთ' ესერ ქ'აპიესგ.  
ტყუილი ფიცი (ფიცის გატეხა) შვილიშვილამდე გასწვდებაო.
16. ბაქს მეკვშდ' ესერ ბაქ ხარ.  
ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო.
17. ბაჩ ესერ ოლკგრკელი ი ლანა ოხთხა.  
ქვა დაგორდა და დასადგომი იპოვაო.
18. ბაჩვ ბაჩ ესერ ანგვჭე.  
ქვას ქვა ამაგრებსო.
19. ბაჩვ ბაჩვი ლგვს მურყვამ ესერ ახფასა.  
ქვა ქვაზე დადებული კოშკი გამოსულაო.
20. ბაქს ჯელი შუკვ ესერ ოთჯიჩა.  
ნაბიჯს გრძელი გზა დაუცვეთიაო.
21. ბაქ-ბაქვი შუკვ ესერ ჩუ ომშდებ.  
ნაბიჯ-ნაბიჯ გზა დალეულაო.
22. ბედავირარს ლგმშკადვნელიხ ი ამფხვს ესერ ჭიშხ ოხქვიჭა.  
ბედაურებს ქედავდნენ და ბაყაყს ფეხი გაუშვერიაო.
23. ბედავირარ ჩუ ომჭკეყელიხ ი სვიფ ესერ წელარს ესსედახ.  
ბედაურები დახოცილან და მოედანი ვირებს დარჩენიათო.



24. ბედოშ ნამატვინ კაცას ესერ ლახგენა.  
ბედს გაქცეული დაღუპვას მისდგომიაო.
25. ბედნიერიშ ლაშიალს ესერი ქა ხოსდენი.  
ბედნიერი ადამიანი ომსაც გადაურჩებაო.
26. ბედნიერიშს მავ ლერსგვანთ' ესერ ესვეზი.  
ბედნიერს ყველაფერი წაღმა მიუდისო.
27. ბედნიერს დეცე ესერ ლაკვრა სოფტენი.  
ბედნიერ ადამიანს ცის კარი ეხსნებაო.
28. ბედნიერს ესერ გიმ' ოთკანა, ქ'ოთჰადა ი უჩხ' ესპია.  
ბედნიერს მიწა მოუხნავს, გაუფარცხავს და წვიმა წამოსწრე-  
ბიაო.
29. ბერაყვ განჯვ ესერ იზბი ი ამსოლდაშ გუ — გონაბ..  
რკინას ჟანგი ჰამს და ადამიანის გულს — დარდიო.
30. ბერაყვ ლემესგ ესერ აფრე ი ამსოლდაშ გუ — ხოლა ციცუყვა.  
რკინას ცეცხლი აწრთობს და ადამიანის გულს — განსაცდე-  
ლიო.
31. ბერეყ ბერაყშვ ესერ იგიჭი ი მარე — მაროშვ.  
რკინა რკინით შემოინახება და კაცი — კაციტაო.
32. ბეფშ ესერ იშდრალ ი თხუმ იშდრე.  
ბავშვი თამაშობს და თავს ირთობსო.
33. ბეფშ თესგებინ ესერი ლი ლეგვენებ.  
ბავშვი თვალწინაც საფრთხილოაო.
34. ბეფშ ლავენიყი მუქვცუნა ესერ ოხლელი.  
ბავშვი ტირილისას დამშოშმინებელს მოელისო.
35. ბეფშდ ესერ ლახა ანხირნას, მიჩ'ოვ ლიბოფშ ლახშყად.  
ბავშვმა რომ გაგაჯავროს, შენი ბავშვობა გაიხსენეო.
36. ბეფშიშ ბეფშს ხოშ' ესერ ხესმი.  
ბავშვისა ბავშვს უფრო ესმისო.
37. ბეფშიშ დაგრას ბაჩვდ ესერი ქიმ ოხვგენა.  
ბავშვის სიკვდილს ქვაც აუტირებიაო.
38. ბეფშსოვ ლოხყასანე, დვე ხოშამ ესერ იჩო.  
ბავშვი შეაქე, მეტს გააკეთებსო (გული გაუხალისდებაო).



39. ბეფშს აშვხანს ლიჭგარ ხოჩ' ესერ ხარ.  
ბავშვს ერთხანს ფეხშიშველა სიარული რგებსო.
40. ბეფშს ბეფშიშ თელ ესერ ხოზ.  
ბავშვს ბავშვის ჭკუა აქვსო.
41. ბეფშს დავ ესერ ოთბიჭკვა.  
ბავშვს დევი შეუკლავსო.
42. ბეფშს თელ თელისგ' ესერ ხოზ, გვი — ნგნეი.  
ბავშვს ჭკუა (ტვინი) თვალში აქვს, გული კი — ენაზეო.
43. ბეფშს ი ზურალს ხოჩა ჟელ დემ ესერ ხეჭევ.  
ბავშვსა და ქალს კარგი ძალი არ შეჰყევსო.
44. ბეფშს ლიც ლათრაჟი ესერ ხეშყდენი.  
ბავშვს წყალი დაღვევისას ახსენდებაო.
45. ბეფშს მალატ ესერ ირდი.  
ბავშვს სიყვარული ზრდისო.
46. ბეფშს მუკვირ ესერ თე ხოსგურ.  
ბავშვს გამჭრიახი თვალი აქვსო.
47. ბეფშს ჟელ ესერი თერ ი ქა ხოქაბი.  
ბავშვს ძალიც სცნობს და გაერიდებაო.
48. ბეფშს უჟდ ხოშ' ესერ ხოგად.  
ბავშვს ძილისაკენ მეტი მიდრეკილება აქვსო.
49. ბეფშს ქალიკედ აცვდ' ესერ.  
ბავშვს მეტი მოფერება აფუჭებსო.
50. ბეფშს ქამასარ მალატ ი ლიკბანლ ესერ აცვდე.  
ბავშვს გადამეტებული სიყვარული და მოფერება აფუჭებსო.
51. ბეფშურ მეზგე ყუგშალ ესერ ლი.  
უბავშვო ოჯახი ყრუსავით არისო.
52. ბიზა ი ქორაშ ქემა აშვდ დემ ესერ იმკადიხ.  
მაძრობა და სახლის მატება ერთად ვერ შესრულდებაო.
53. ბიკს ესერ იმხენ დე ახსიპი, ჩიხენ ბიკ ლი.  
კუნძს საითაც არ უნდა მოუარო, ყოველმხრივ კუნძიაო.



54. ბიფხიშ ნამატვ ზულვას ესერ ლახდენა:  
ნამისაგან გაქცეული ზღვას მიადგაო.
55. ბიქვ აშვთე გარ დემ ესერ ყერ.  
ქარი მარტო ერთი მხრივ არ ქრისო.
56. ბიქვიშ ნაკიდვს ბიქვ ესერ აისგ.  
ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო.
57. ბოგსეჩხენიშ ნაჩომლა ბოგსამხენ ესერ ხაწრაღახ.  
ხიდს იქით ჩადენილისათვის ხიდს აქეთ აგინებდნენო.
58. ბოგქა მეზის ჭეკქა ლიზი ესერ ოთცხონა.  
ხიდზე გამსვლელს ჭოკზე გასვლა აურჩევიაო.
59. ბოჯიშ მგღრევის ჟაღვემ ესერ ცხა ხეგნი.  
ლუკმის გამომტყუებელს ძაღლის ბრჭყალი გამოეზრდებაო.
60. ბოჯოვ ლოხკვარ ი ჟელ ისგა ხეშნარი.  
ლუკმა მიუგდე და ძაღლი მოგიშინაურდებაო.
61. ბრანჯიან ჟელ ქორანშს ესერი დემ აზარე.  
ავი (ბრაზიანი) ძაღლის ოჯახის წევრსაც არ ზოგავსო.

ღ

1. გაბვ ლგცთელისგა ოლსგიდნელი: „ჩიქი ესერ მგჳარ დემეგ ხაგ-  
ნენა“.  
დოლა თხას წყალში ჩაუხედავს: „ჯერ რქები არ ამომსვლიაო“.
2. გაბვს ხოქვა: „ანდვან ჭირდ ე დე ხადეს გვი, აშვ კვამლისგ' ესერ  
ჩუ იბზი“.  
დოლა თხას უთქვამს: „მწყემსის წვალემა რომ არ მინდოდეს,  
ერთ ბუჩქთან გავძლებოდო“.
3. გაგანს გაგ ესერ ხანწყდენა ი თანან — თან.  
ფაფის მოყვარულს ფაფა აგონდებოდა და ყველისას — ყვე-  
ლიო.
4. გაგანს მგზებს ყეშოვ დეშგიმჩუ ხოჩხინან.  
ფაფის მჭამელს კოვზი ქამარში ჰქონდეს გარკობილიო.
5. განგეშერ მინე ნენ ესერ ოხვიტა.  
გაგიანნი თავიანთ ცუდ ენას ამოუგდიაო.



6. გადან ლეგდანის ქაფდ ესერ ხაცვ.  
ვალი მოვალეს ტვირთად ჰკილიაო.
7. გადან მეზგა მაცხს ესერ ხოქვცე.  
ვალი ოჯახის ზრდას წყვეტსო.
8. გადან უელისგ' ესერი იცხემ.  
ვალი ძილშიაც იზრდებაო.
9. გადანს ლიქაბუნალ დეშ ესერ ხალიესგ.  
ვალს თავის არიდება ვერ გადაიხდისო.
10. გადანს მინდვ ესერ ხაკუ.  
ვალს ნლობა უნდაო.
11. გადლისგა ნაჩომ ლემბაყ მოდ' ესერ ლი.  
მართებულად ნაქნარი გასაკვირი არ არისო.
12. გადნაშ მუფსვიდლ უეოვ ნომ' ანკიდ.  
ვალის პატრონმა არ დაიძინოსო.
13. განჭობქა კეც ესერი მაშდმარ ლი.  
ანწლობის დროს ქვევრიც მთვრალიაო.
14. გარჯ ხოჩ' ესერ ლი, ოდო ხოლამ ასეწვამ ხარ ლაჩომ.  
ძნელი სიკეთის ჩადენაა, თორემ ცუდი ერთი წამის საქმეაო.
15. განჩუვ ლექვცე კაპდოშვ ესერ ლექჩად ოხსყა.  
დანით გასაჭრელი ნაჯახით საჭრელი გაუხდიაო.
16. გაჭირობს ლეთ ი ლადელ დემეგ ესერ ხოთრა.  
გაჭირვებამ დღე და ღამე არ იცისო.
17. გეგი ლუმზურელ ი ბეგის ესერ ლემზავნელიხ.  
გეგი საჩხუბრად მიიწევდა და ბეგის აშველებდნენო.
18. გეზალ დიეშ ესერ გუმი ნაბიკვ ლი.  
შვილი დედის გულის ნაპობიაო.
19. გეზალ დის ი მუს გულისგ' ესერ ხოსგურხ, ნიბაშინ — გუმი გუ-  
ლისგა.  
შვილი დედასა და მამას გულში უზის, შვილიშვილი კი — გუ-  
ლის გულშიო.
20. გეზალ ესერ იმ ოთდავშა ი მიჩა დიეშ ნაკბალს.  
შვილი რას წაუხდენია და თავისი დედის მოფერებასო.





21. გეზალთე ლუმწვინა თეფს დი მგჳედშე ესერ ხალფარალა.  
შვილისკენ დამიზნებულ თოფს დედა მკერდით აჰფარებიაო.
22. გეზალ ლგრდ დას ესერ ხოთავა.  
შვილი გაზრდილი არავის უშობიაო.
23. გეზალ ჟესვას დემეგ ხადგარა, გეზლაშ დაგრა ნომ'ოვ ხამშერე.  
შვილი ვისაც არ მოჰკვდომია, შვილის სიკვდილი არ შესჩივ-  
ლოო.
24. გეზალოვ ანირდ მგმახვერ, ახმარგი ესერ მგმკეთერ.  
შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება მოყვრულადო.
25. გეზალს ლახჳედნახ: დის ესერ იმნოშე ათტიხე? ი: ჳი ესერი გე-  
ზალს ანგრდინე.  
შვილისათვის უკითხავთ: დედას ამავს რითი გადაუხდით და  
მეც შვილს გავზრდით.
26. გეზალს ლითავე გარ დერი, ლირდი ესერი ხაკუ.  
შვილს მარტო გაჩენა კი არა, აღზრდაც უნდაო.
27. გეზალს ესერ მან ლიმეჩვლადლიშდ იმკახე.  
შვილს ყველა სიბერის დღისათვის შეჰხარისო.
28. გეზალურ ზურალს ლიდივ მოდმ' ესერ ხოჭრდა.  
უშვილო ქალს დედობა არ გამოუცდიაო.
29. გეზლაშ ლაწვანალ დია ესერ ლი.  
შვილის იმედი (მოსარჩლე) დედააო.
30. გეზლაშ ლეჭირ გეზალდ ხოშა დის ესერ ხოჭირ.  
შვილის განსაცდელს შვილზე მეტად დედა განიცდისო.
31. გეზლაშ ლითავე ჩი დის ესერ აშხოხალ, ლირდი—მერხალდს გარ.  
შვილის ყოლა ყველა ქალმა იცის, აღზრდა კი — მხოლოდ  
ზოგმაო.
32. გეზლაშ შაიდ დის ლუსვარს ესერ ხორხენე.  
შვილის შიმშილი დედას ძუძუებს აუკანკალებსო.
33. გეზლაშ მანჩლოვარ ნიბაშინს ესერ ლემმაკხუნელი.  
შვილის მომდურავი თავს შვილიშვილით ინუგეშებდაო.
34. გეზლირიშ მგრდი ზურალს ლირდე-ბედ ჟი ესერ ხოშხენა.  
შვილების გამზრდელ დედას ცხოვრება შემონახული აქვსო.



35. გეშ ლამშერალშვ დემ ესერ ისკეთი.  
საქმე ჩივილით არ გაკეთდებაო.
36. გვამი ლეჩემ ხოხვრამ მაცხს ესერ ხოქვცე.  
მძიმე სამუშაო ბავშვის ზრდას აჩერებსო.
37. გვამი ლგქაფს შდიმ ესერი გვამი ხარ.  
მძიმედ დატვირთულს ყურიც ემძიმებაო.
38. გვამის ესერ ჭაჭარ ოთზიგნა, მახრინს — გვი.  
მძიმეს წელი უტკენია, ჯავრს კი — გულიო.
39. გვაშვ თხუმხენ ესერ ხარ ლაშად.  
საქმეს თავიდან ეშველებაო.
40. გვი დერი, აშუნღვე ბაჩარ ესერი ჩუ კეშნის.  
გული კი არა, ერთი ხნის შემდეგ ქვებიც გატყდებიანო.
41. გვი ესერ ე დე, თეს მანგვანისგ.  
გული რომ არა, თვალს რა აატირებსო.
42. გვი ესერ ჩი ხოზ, მარე — ლგთშორად.  
გული ყველას აქვს, მაგრამ — განსხვავებულიო.
43. გვი ლაგუს ჩიგარ ესერ დემ სკგდა.  
გული საგულეში ყოველთვის არ ეტევაო.
44. გვილუსუსდა მანგ ხოშ' ესერ ტვინ ხარ.  
გულდასუსტებულს ყველაფერი მეტი სწყინსო.
45. გვილგჰედ ამხოლდ ჩი ლადედ ესერ იცხემ.  
დაკვირვებული ადამიანი ყოველდღე იზრდებაო (ცოდნით).
46. გვიმზიგლისგაშ ჩამაგას ამაშვამლისგა ფგრი ჭკიდილდ ესერ ხო-  
ჩა.  
აყალმაყალში კარგ სუფრას სიმშვიდეში ხმელი მჭადი სჯობ-  
ბიაო.
47. გვიმარა მახაცს დემ ესერ იქვდელ.  
სურვილი შეძლებას არ კითხულობსო.
48. გვიმაწვდის ნაბანდ ესერ დემეგ ხაყვლუნნი.  
გულმართალს ფიცის არ ეშინიაო.
49. გვიმიშ ესერ შარაყს ოხაქვისგენა ი თემიშ — კვამს.  
გულს ნადები არაყს უთქმევინებია და თვალისა — კვამლსაო.



50. გვი ძესვას ხოპრი, ლეჩომ ლათხი ესერ ხარ.  
გული ვისაც ერჩის, საქმე გამოეძებნებაო.
51. გვირკიშ ყაყაჩ დაბ-ლარემ მტყაბან ესერ ლი.  
ივლისის პაპანება ყანა-სათიბის მწველიაო.
52. გვირკს ზესყი ესერ ხელად ოდგენა.  
ივლისს ნედლი ხმელად უქცევიაო.
53. გვიუჩილად ლეჩემ დემ ესერ ისკეთი.  
უგულოდ საქმე არ მოგვარდებაო.
54. გვი ჩუ დემის ესერ ბეკვნი.  
გული არ გაიპობაო.
55. გვი ხვრს ესერ ოთხიბა.  
გული ჯავრს გაუხეთქიაო.
56. გვი ხვრს ლატხელიშვ ესერ იხერი.  
გული ჯავრს სამაგიეროს გადახდით იყრისო.
57. გიგუს ესერ ხოყიბ ი გეგვე.  
გუგულს სცალია და ლაყბობსო.
58. გიმ ლაშდღვი ი ვერ ნალფარუნ დას ესერ ხაშთხა.  
მიწა სამარხი და ზედ დასაფარებელი არავის გამოლევიანო.
59. გიმ ესერ დეცს ხოსგდი.  
მიწა ცას შეჰყურებსო.
60. გიმეი მტ ესერი იბულელ ი ამსოლდი.  
მიწაზე მატლიც დაცოცავს და ადამიანიცო.
61. გიმს ვობაშ ესერ მარე ხოჯიჩა.  
მიწას ბევრი ადამიანი მოუნელებიაო.
62. გიმს მავ ნუკვიშ ამსოლდ ესერ ხორი.  
მიწას ყველანაირი ადამიანი ჰყავსო.
63. გიმს მიჩა მაზიგ ესერ ხეზგი.  
მიწას თავისი ჭირი სჭირსო.
64. გოვრიშს გოვრიშ დემ ესერ ზოშთხენი.  
მსგავსს მსგავსი არ გამოელევაო.






65. გოვრიშს გოვრიშ ესერ ხესგვიშ.  
ტოლს ტოლი უხდებაო, ცალმა ცალს უნდა უცალოსო.
66. გონაბ უეს ესერ შდიხე,  
დარდი ძილს აფრთხოვსო.
67. გუთე ბაუ ი თელშვ ლაწე ესერ ლი.  
გულში ჩასახედი ჭკუა-გონებითააო.
68. გუ ესერ კალუნ ხალრალნი, კალუნ ხაგვუნნი.  
გულს ზოგჯერ ემღერება, ზოგჯერ ეტირებაო.
69. გულისგა ლუქვ ნუნთ' ესერ მაგ დემ იჯიდი.  
გულში ნათქვამი ყველაფერი ენით არ ითქმისო.
70. გუმი კეშას თხუმემ კეშა ესერ ხოჩა.  
გულის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.
71. გუმი ლაგნარდ ჩიგვაშვ მეგვიობ ესერ ხოჩა.  
გულის დასამშვიდებლად ყველაზე კარგი თანატოლად მიჩნე-  
ვააო.
72. გუმი მაფუა ლგც მამფუად ხოლ' ესერ ლი.  
გულის დუდილი მღუღარე წყალზე უარესიაო.
73. გუმი მახრინდ შიშდ ესერ მოდე ლი ლექემ.  
გულის მოსვლას უცებ არ უნდა აპყვეო.
74. გუმი ნავჭედოშვ მარა ვობაშ ესერ ხაკლი.  
დაუკვირვებლობით ადამიანს ბევრი აკლიაო.
75. გუ ნინ ესერ აშიდბუნე.  
გულს ენა ამშვიდებსო.
76. გურგვინ ნაგემვ ძეხვ-ჭაშს ვერ ი ლავხი ესერ აყლურე.  
გვირგვინდადგმულ (ჯვარდაწერილ) ცოლ-ქმარს მიწა და  
ნიჩაბი გაყრისო.
77. გუურდ მანგთან ცვიდ ესერ ლგმარ.  
უგულოდ ყველაფერი ფუჭი ყოფილაო.

ბ

1. დაბაშ ნანსგლის შდამი ნანცინი ესერ ჩოხალ.  
ყანის სისქემ თავთავის, სიწვრილე იცისო.





2. დაბაშ ხოლამდ ლიმში კვადდ ხოშა შგვირ ესერ. ლი.  
ყანის ცუდად დამუშავება ზარალზე უფრო სირცხვილიაო.
3. დაბთე ლუმთქვა ხამ დაგრა გარ ესერ ხაყჩე.  
ყანას მიჩვეულ ღორს მარტო სიკვდილი მოაცილებსო.
4. დაბთე ქა ლუკვარ ითქ ისგა ნაცხემშვ ესერ ანღრი.  
ყანაში გადაგდებული მარცვალი უკან ნამატით მოდისო.
5. დაბს, იმ ლახლანე, ყი ესერ ეჯი ზეგნი.  
ყანაში რასაც დათესავ, ის აღმოცენდებაო.
6. დაბს ლაში ნაშდებვდ ესერ ხუღვე.  
ყანას თესლი სარგებელში აქვს ნასესხებო.
7. დაბს ლიუვმი ლიჰუნწვიშალ ესერ ხარ.  
მზრალად ხვნა ყანას ნაკელის მოყრასავით უხდებაო.
8. დაბხენ კიბდენტელისგა ნამშანს ვობაშ ესერ მავინ ხაყა.  
ყანიდან კიდობნამდე ჭირნახულს ბევრი მავნებელი ჰყავსო.
9. დაგრა ამსოლდაშ ყიუკიდა ბეგარ ესერ ლი.  
სიკვდილი ადამიანისათვის გადაუდებელი ბეგარააო.
10. დაგრა აშ ესერ ვობაშს ხოკარქა.  
სიკვდილი ბევრს ძალით მოუხვეჭიაო.
11. დაგრა აშ ლავჩიშვ დანსმოშ ესერ ხოვჩა.  
სიკვდილი მოგერიებით ვერავის მოუგერიებიაო.
12. დაგრა ნაღვევარის დემ ესერ იჭვდელ.  
სიკვდილი დანაშაულს არ კითხულობსო (მტყუანსა და მართალს არ არჩევსო).
13. დაგრას გვი ი ტან სგებნავ ესერ იბუენის.  
სიკვდილს გული და ტანი წინასწარ იგებენო.
14. დაგრას ისგვი-მიშგვი დემეგ ესერ ხოთრა.  
სიკვდილმა შენი-ჩემი არ იცისო.
15. დაგრას უნხენად დარ ესერ ხოსდენი.  
სიკვდილს წაუქცევლად ვერავინ გადაურჩებაო.
16. დაგრას ხოშა-ხოხვრა დემეგ ესერ ხოთშერა.  
სიკვდილს დიდი და პატარა არ გაურჩევიაო.




17. დაგრას ჯელი თჳკვ მოდმ' ესერ ხჳბ.  
სიკვდილს გრძელი თოკი არ აბიაო.
18. დაგრას ჰნდვილდ ესერ ლაკარქა ხარ.  
სიკვდილი ადვილი საშოვნელიაო.
19. დაგრალა თერჳრლისგა ლიყჳნლს ნჳროვ ანჳირ.  
მოკვლისათვის თვალეზში კოცნას ნურავინ მოელისო.
20. დაგრაგნქა მჳგ გადან მგლი ესერ ხოჩა.  
სიკვდილის გარდა ყველა ვალი გასტუმრებული ჯობიაო.
21. დაგრობ მეზგა ჩჳ ესერ ატიხჳლი.  
მკვლელობა ოჯახს მოშლისო (წონასწორობიდან გამოიყვანსო).
22. დაგრობ ნავად დჳს ესერ ხარ.  
სიკვდილი ნანატრი არავის აქვსო (თავისი სურვილით არავინ კვდებაო).
23. დაგრობლა დაგრობსოვ ანჳინდ.  
მკვლელობისათვის მკვლელობას მოელოდეო.
24. დაგრობშე დაგრ' ესერ ოლმეგველი.  
სიკვდილით სიკვდილი გათანაბრებულაო.
25. დადიანჳშ ლგფკელს მჳგთან ესერ უქვთუნდ ხჳკვდენა.  
დადიანის ქალბატონს ყველაფერი გაუნძრევლად უნდოდაო.
26. დჳგ აშე ნაქვს ესერ ხჳტხენა.  
რეგვენი ერთსა და იმავეს (ნათქვამს) იმეორებდაო.
27. დჳგ ლჳღვრალს გარ ესერ ლახბეჳკვა.  
ბრიყვი დაფიცებას შეაკვდაო.
28. დჳგ ლგც ცხერილშე ესერ ლგმზორნელი.  
ბრიყვი წყალს საცრით აგროვებდაო.
29. დჳგ მგშკს ესერ ახვეფეთინენა.  
დევი ჭიანჭველას აჳკიდებიაო.
30. დჳგჳრ ესერ შიროლს ხაბურგელახ.  
ბრიყვნი წისქვილის ქვებს ეჭიდებოდნენო.
31. დჳგჳშ ნამჳგრ მეზგა ლერსგვანთ' ესერ ფიშვდე.  
დევის ლოცვა ოჯახს მარჯვნივ წარმართავსო.






32. დავაშ ნაჭათვ მეზგ' ესერ ხვიტე.  
დევის წყევლა ოჯახს ამოწყვეტსო.
33. დავს თეფ ქა დემ ესერ ხექდი.  
დევს თოფი არ ასცდებო.
34. დავს ლადაურიტ' ესერ ხაჯხონა.  
დევს სადევოსაკენ ერჩიო, ბრიყვი ბრიყვისკენ მიიწევდო.
35. დავს ნალდევი ესერ ხოჭირ.  
ბრიყვს თავისი სიბრიყვე ეყოფო (სჭირსო).
36. დავს კან შდგქე ნაცყერუნდ ესერ ახკედა.  
დევს ხარი კბილის საცობად მოუნდო (კბილებში გაეჩხი-  
რაო).
37. დამბაღ მარე ყიბავცაღ ჩუბავ ესერ ხაშხვნა.  
დაბალი კაცი რამდენიც ზევით არის, იმდენი ძირს მარხიო.
38. დამბაღ მუეშ გეზალი დამბაღ ესერ ლი.  
დაბალი მამის შვილიც დაბალიო.
39. დამბაღ ყორლისგა ყ'ესეროვ ესნაკვ.  
დაბალ კარში მოიხარეო.
40. დამბაღ ქა მავ ხოშამ ესერ იბაჯუნაღ.  
დაბალ ღობეზე ყველა მეტს გადააბიჯებსო.
41. დარ ესერ ლი ლაიდ ივას მეგჭე.  
სამუდამოდ ვერავის გაუძლიო.
42. დას ხეთხი, ეჯი დას ესერ მოშ ხოთხა.  
რაც არავის უპოვია, იმას ვერავინ იპოვისო.
43. დას ხელენი, ეჯი დედ დას ესერ მოშ ხოქვიცა.  
არავის რომ არ ეჩოთირებოდეს, ისეთი განაჩენი არავის გა-  
მოუტანიო.
44. დას ხეხლი, ეჯგვარს აშვ გარ ძარ ესერ ახთენისგვ.  
არავინ რომ არ იცოდეს, იმისთანას ერთს მარტო ვინ დაასწავ-  
ლიდო.
45. დაშდვ, ლატვ ლახ დემთე ხარ, თხუმ კოჯქ' ესერ ქ'აკვანე.  
გასაქცევი რომ არა აქვს, დათვი თავს კლდეზე გადაიგდებსო.
46. დაშდვ ლახა ათწინდეს, ბაბაოვ ხაქვ.  
დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო.





47. **დაშდვე მახალ ხოლემ** ესერ ჰარაკდ ზი.  
დათვის ეშმაკობა ცუდ არაკად (მაგალითად) დარჩენილად.
48. **დაშდვს ხოქვა: ვიღლაშ გეზალ ნომ'** ესეროვ ლახხვია, იშგნემ მას-  
დსერ ესერ ხარ.  
დათვის უთქვამს: დისშვილი ნუ შემხვდება, სხვას არ დავე-  
ძებო.
49. **დაცხ ბედს** ესერ ხოხალ.  
სიმსუქნე მოვლამ იცისო.
50. **დეცე-გიმიშ** მაკლოვარდ კოჯს ი ცხეკსოვ ლახშიალე.  
მიწა-წყლით ნაკლული კლდესა და ტყეს შეეზასო.
51. **დეცე-გიმიშ** მუჰვდი ჯიჰრანუ ფოთელს ესერ ლახგვარენა.  
მიწა-წყლის გამყიდველი მუშის ფოთოლს მისდგომიაო.
52. **დეცთეუი კიბ** დას ესერ ხოგა.  
ცამდე კიბე ვერავის მიუდგამსო.
53. **დეც ი გიმ ეზარ ხენკი** ესერ ომყელლიხ.  
ცა და მიწა კარგა ხანია გაიყარნენო.
54. **დეც ი გიმ ივას უშხვარ** ესერ ხოსგდიხ.  
ცა და მიწა მუდამ ერთმანეთს შეჰყურებენო.
55. **დეჯიკ** ესერ მიჩა ნაქვს გარ ხატხენა.  
ურჩი მარტო თავის ნათქვამს იმეორებდაო.
56. **დეჯიკს** დ'ესერ უჯმა ხანგუა, დეი ლგჯიმ.  
ურჩს არც უმარილო უხედებოდა, არც მარილიანიო.
57. **დიარ უკვშურად** დემ ესერ იმი.  
პური გაუტეხლად არ იჭმევაო.
58. **დიარს მგზებ** დემ ესერ ხოშთხენი.  
პურს მჭამელი არ გამოელევაო.
59. **დიარს შიარ** ესერ იკარქეს.  
პურს ხელები შოულობენო.
60. **დი გეზლშ** ბედეი ლემასგვ ესერ ჟი ესჩიდი ე, გვი დემის ხებზი.  
დედა შვილისათვის ცეცხლში რომ დაიწვას, გული არ გაუ-  
ძღებო.





- 61. დი-გეზლან ლიყვლურე ჩიქი ესერ დაგრას ხობცა, ღვე — ძახვ.  
დედა-შვილის დაშორება ჯერ სიკვდილს შეუძლია, მერე ცოლსაო.
- 62. დი ესერ გეზლანუ ი გეზალ იშგნემიშვ.  
დედა შვილისთვის, შვილი კი სხვისთვისო.
- 63. დი ესერ გეზლანუ ძერ ლი ი მუ — ჯიჯვ.  
დედა შვილის ხორცია, მამა კი — ძვალიო.
- 64. დი ესერ ი მუ თანშვ მან ლიხ, გეზალ ესერი ეჯი ლი.  
რაც დედა და მამა არიან ჯიშით, შვილიც ის არისო.
- 65. დიეშ გადანს გეზალ მიჩა ივას დეშ ესერ ილიესგ.  
დედის ვალს შვილი ვერასოდეს გადაიხდისო.
- 66. დიეშ გვი გეზლირს ესერ ხათალახ.  
დედის გული შვილებზეა განაწილებულიო.
- 67. დიეშ ი მუეშ ნამგებვს გეზალდი ლახქიმოვ.  
დედისა და მამის მონაგებს შვილმაც მიუმატოსო.
- 68. დიეშ ლიმზურ გეზალს თვი-ლეცვმიდ ესერ ხესპი.  
დედის ლოცვა შვილს თაფლ-კარაქად შეერგებაო.
- 69. დიეშ ლუსვ ხოჩა გეზალს გარ ესერ ხოფსა.  
დედის ძუძუ მარტო კარგ შვილს დაუფასებიაო.
- 70. დიეშ ლგჟუმა ჩინჩვილს დაცხ ხოლამ ესერ ხეცვმი.  
დედის ხსენუჭმელ შვილს ხორცი ძნელად მოეკიდებაო.
- 71. დიეშ ნაფდალ გეზალს აშ ესერ ხეცვმი.  
დედის ხელნახლები შვილისათვის ალალიაო.
- 72. დიეშ ნეყირქა გეზალდ ლაფაშგოვ.  
დედის განარტყამზე შვილმა ხელი მოისვასო.
- 73. დიეშ ქემრარს ბაჩარ ესერ ოხგვანახ.  
დედის ცრემლებს ქვები აუტირებიაო.
- 74. დიეშ შილისგა გარ გეზალ წეფილ ესერ უდა ლი.  
მარტო დედის ხელში შვილი გაუწვრთნელიაო.
- 75. დინაგეზალ მეზგემ ესერ მგჯრენი ლი.  
ქალიშვილი ოჯახის მაკავშირებელიაო, ოჯახის მოყვრად მომ-  
კიდებელიაო.



76. დინაგეზალს მიჩა დრევეი შუკვ ესერ დემ ათსყი, ჯი ესერ ისყი  
ლეჰდგრად.  
ქალიშვილს თავის დროზე გზა თუ არ გაეკაფა, თვითონ გაიკაფა  
კაფავს სანანებლადო.

76ა. დინა ი ნალვეურ ქვრდ' ესერ გეზალ ლიხ.  
გოგო და ვაჟი ორივე შვილიაო.

77. დინა ქა ლიწვილალდ დისოვ შილისგა ხონაშკვან.  
გოგო გათხოვებამდე დედას მუჭში ჰყავდესო.

78. დინას ლამუარხენქა შუკვ მგსყე ესერ ხარ.  
გოგოს მამის სახლიდან გზა ხსნილი აქვსო.

79. დირიშ ბოჯს ვობაშ ესერ ხოსკეთა.  
პურის ლუკმას ბევრი საქმე მოუგვარებიაო.

80. დირიშ ბოჯ ჟაღვემ ესერ გადან ლი.  
პურის ლუკმა ძაღლის ვალი არისო.

81. დირიშ ბოჯს ჟედ ესერ ისგ' ოხშინრა.  
პურის ლუკმას ძაღლი მოუშინაურებიაო.

82. დირიშ ნაპუს ესერი ჩუ ლათალი ხარ მერდგულობეი.  
პურის ლუკმაც გაიყოფა ერთგულეებისასაო.

83. დირიშ ნასრული კიბდენიშ შის ესერ არი.  
პურის სისრულე კიდობნის ხელთ არისო.

84. დირობეი ყორქა ჟაღვ ესერი დარ აკვანე.  
ჭამის დროს კარში ძაღლსაც არავინ აგდებსო.

85. დის ლირდე გეზლირეი ესერ ხოხალ.  
დედას სიცოცხლე შვილებში ჰგონიაო.

86. დოსდ მედგარ ნამფარი გარ ესერ იზელალ.  
მაღე მომაკვდავი აჩრდილი მარტო დაიარებაო.

87. დოშდულს მანკვი კვიცრა ი კალმახვ ესერ ხეწდენიხ.  
ახალ მთვარეს პირველად შუნი და თევზი (კალმახი) შეამჩ-  
ნევენო.

88. დრევ ამსოლდს დემ ესერ ხოდლი.  
დრო ადამიანს არ უცდისო.

89. დრევ ესერ მახლაშ ლათვრი ლი.  
დრო ჰკუის მასწავლებელიაო.



90. დრევ ჩიგარ ეშვი მოდ' ესერ ლი.  
დრო ყოველთვის ერთნაირი არ არისო.
91. დრევდ მ'ესერ ლახჭარუას, ჩემინოვ.  
დრომ რაც შეგაძლიოს, ის ქენიო.
92. დრევიშ მგსყიად ლირდ' ესერ ხოჩა.  
დროის შემწყობად ცხოვრება სჯობიაო.
93. დრევიშ მგლლი ქადს ესერ ხოხვრამ ათქადა.  
დროის მომლოდინე ნაკლებად შემცდარაო.
94. დრევნიდრევნ დეც ესერი ირხგნაღ.  
დროდადრო ცაც გრუხუნებსო.
95. დრევეი ლიშედურ მგჭფიას ე'ესერ ლისგვრე ხამთქვა.  
დროზე თუ არ უშველე, მკბენარმა დასევა იცისო.
96. დრევეი მგლაში დრევეი ესერ ითი.  
დროზე მთესველი დროზე იმკისო.
97. დრევეი ყერ გოჭარს აშ ესერ შიდე.  
თავის დროზე ნეზვიც გოჭებს დაყრისო.
98. დრევს ამსოლდ ესერ ესყა ი ახყა.  
დროს ადამიანი მიჰყავს და მოჰყავსო.
99. დრევს ალვრა დემ ესერ ხეყირი.  
დროს ზღვარი (მიჯნა) არ დაედებაო.
100. დრევს ლაჩრავი დემეგ ესერ ხარ.  
დროის გაჩერება არ შეიძლებაო.
101. დრევს მარე დეშ ესერ ირდი.  
დროს ადამიანი ვერ გაზრდისო.
102. დრევს ქა ლგქაბ მვგთან ხოლ' ესერ ლი.  
დროს გადაცილებული ყველაფერი ცუდიაო.
103. დგბუი ამსოლდ ვეთხმულშალ ლეზხალი ესერ ლი.  
მოუქნელი ადამიანი პირუტყვივით გასადენიაო.
104. დგთხელ უფს დგთხელ ისტამ ესერ ხამთქვა.  
თხელ ძილს თხელი სიზმარი სჩვევიაო.



1. ემსგიოვ ემსგის ახთხელივ.  
თანაბარი თანაბარს ეძიოსო, ტოლმა ტოლი ნახოსო.
2. ეშდმარვ მგგემს ეშვი მურღვ' ესერ ჟი ხასრე.  
თორმეტ მშენებელს ერთი მნგრეველი აჯობებსო.
3. ეშვი აქს ესერ ლგმრავდინ, მერმე — ბაქს.  
ერთი ალთას ლაპარაკობდა, მეორე — ბალთასაო.
4. ეშვი ბიბუს ესერი ხოყირა კაკდ.  
ერთი კაკლის ხისათვის ბიბუსაც მოუხვედრებიაო.
5. ეშვი გარ ამსოლდ დ'ესერ ლგთავ ლი, დეი — ლგდგარ.  
მარტო ერთი კაცი არც დაბადებულა, არც მომკვდარაო.
6. ეშვი გარ დ'ესერ თხუმხენ წვა, დეი — ლეშგიმხენ.  
მარტოხელა არც წინიდან ჩანს, არც უკნიდანაო (მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვიაო).
7. ეშვი გარ დეცს დარ ესერ ხაბკა.  
ცას არავინ მისწვდენიაო.
8. ეშვი გვი ჩხარამდ დემ ესერ იბკური.  
ერთი გული ცხრად არ დაიჭრებაო.
9. ეშვი დაგრა ჭა დას ესერ ხოქდენა.  
ერთხელ სიკვდილი ვერავის აუცდენიაო.
10. ეშვი ღირილდ კას ლიშვედ მოდ' ესერ ხაჯეშ.  
ერთი პურის კვერი კერაში ცეცხლის შენთებად არა ღირსო.
11. ეშვი ესერ თხერახენჩუი ოლიქველი.  
ერთი მგლისკენაც თქმულაო.
12. ეშვი ესერ ლგწჳე ი მეშდ ლგწჳემ ლგწჳე.  
ერთი წვეული და ათი წვეულის წვეულიო.
13. ეშვი ესერ მგჩემ ი აშირ მგსგიდარი.  
ერთი გამკეთებელი და ასი გამსინჯველიო.
14. ეშვი ესერ ხოჩა ვობავ ხოლამ ისარინე.  
ერთი კარგი ბევრ ცუდს იპატიებსო.



15. ეშვი კინჩხ შგურ ჩხარამუნ ესერ ოხქვიცა.  
ერთი კისერი სირცხვილს ცხრაჯერ მოუჭრიაო.
16. ეშვი ლაგას მგგნე სოფელს ჩიგარ ესერ ხორი.  
ერთი მეთაური (ჭკუის დამრიგებელი) სოფელს ყოველთვის  
ჰყავსო.
17. ეშვი ლამპრას ესერი ათქადა.  
ერთხელ ღვთისმშობელიც შემცდარაო.
18. ეშვი ლიმცოქვილ უეს ესერი ხამთქვა.  
ერთი მოციქულობა ძილსაც სჩვევიაო.
19. ეშვი ლიცვ საბრალს ესერი ხახვია.  
ერთი სიცილი საწყალსაც რგებიაო.
20. ეშვი ლექლობ ეჩქანღვეშ გუდლაქიდარდ ხოჩ' ესერ ლი.  
ერთი შეცდომა შემდეგ მისახვედრად (ჭკუის სასწავლებლად)  
კარგიაო.
21. ეშვი მადილ ლიცმცხიშვ მუთვნ' ესერი ხოჩგმინა.  
ერთი მადლი ცივი წყლის დამღვეინებელსაც უქნიაო.
22. ეშვი მაუჯრ თხერა მუმილს ესერი ხამთქვა.  
ერთი მადლი (შებრალება) მამალ მგელსაც სჩვევიაო.
23. ეშვი ესერ იცვნალდეს, მიჩა თხუმ ხეცვნალდეს, ღორი მპრ' ესერ  
იცვნალდეს, უშხვარ ესერ ხეცვნალდეს, სემი მპრ' ესერ იცვ-  
ნალდეს, გუმი ლელხინ ესერ ლი.  
ერთი იცინოდეს, თავს დასცინოდეს; ორი იცინოდეს, ერთ-  
მანეთს დასცინოდეს; სამი იცინოდეს, მართლა მოსაწონიაო  
(სასაცილოაო).
24. ეშვი მასგუა მახერას ესერი ხაყა.  
რაც ერთი ბღერსაც უხდებაო.
25. ეშვი ტალ ამსოლდს ჩი ესერ ხონკრი.  
ერთი ნაკლი ადამიანს ყველას დაჰყვებაო.
26. ეშვი უეშინ მბიზს ესერი ხაყა.  
ერთი შეწუხება მაძრობამაც იცისო (მაძრობაც მოსა-  
წყენიაო).
27. ეშვი უუ ლგც ესერი ხევეუნი.  
ერთი ძილი წყალსაც ჩაეძინებაო.





28. ეშვი ქვინღმგენე ურინ დემ ესერ იზჰენი.  
ერთი სულღმული (საკლავი) ორჯერ არ დაიკვლებო, ერთი  
შესაწირავი ორჯერ არ შეიწირებო.
29. ეშვი ჭალ ლებს ესერი ხამთქვა.  
ერთი ჭირი ფუტკარსაც სჩვევიაო.
30. ეშვი ხოლა ლადელ ჩი ესერ ბაც ხარ.  
ერთი ავი დღე (სიკვდილი) ყველას მოელისო.
31. ეჯაბუასდაშ ლასკგდს დარ ესერ იჭვდელ.  
საიქიოში დასატევს (ადგილს) არავინ კითხულობსო.
32. ეჯაბუასდხენ დარ ესერ ლი მეტხე.  
საიქიოდან არავინ დაბრუნებულაო.
33. ეჯგვარს იმ ანპრენი, თხუმეიქაქა დარ ესერ მოშ ასკნე.  
რამდენზეც არ უნდა ახტეს, თავს ზემოთ ვერავინ ახტებო,  
თავზევით ძალა არ არისო.
